ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

პავლე აბაიაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

თეა ჭეიშვილი – კოლეგიის წევრი

მარინე კვაჭაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ლ. წ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.08.2013

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 104/13

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ნ. მ. /სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. მ. – ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2013 წლის 20 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ლ. წ. – მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. მ. – სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან, 2013 წლის 04 ივლისს, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა იურიდიულ ფირმასთან „...“. ფირმა, მისი წარმომადგენლების, ნ. მ. – სა და მისი კოლეგის მეშვეობით, ვალდებული იყო ეწარმოებინა ლ. წ. – ის საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში და დაეცვა მისი უფლებები იპოთეკის ხელშეკრულებასა და გამოსახლებასთან დაკავშირებით. ლ. წ. – მ ჰონორარის სახით პირველ ეტაპზე გადაიხადა 1260 (ათას ორას სამოცი) ლარი, ხოლო 740 (შვიდას ორმოცი) ლარი უნდა გადაეხადა შეთანხმებულ ვადაში.

1.3. საჩივრის ავტორის განმარტებით, „... – მ“ არ შეასრულა შეთანხმებული ვალდებულებები. კერძოდ, ხელშეკრულებაში არ აღინიშნა, რომ გამოსახლების საკითხი უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო იპოთეკის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით საქმის წარმოება იურიდიულმა ფირმამ არ უზრუნველყო. ადვოკატებს არ განუხორციელებიათ აუცილებელი იურიდიული მოქმედებები. აღნიშნულის შედეგად, საჩივრის ავტორი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და იძულებული გახდა მიემართა სხვა ადვოკატებისათვის. იურიდიულ ფირმას არ განუხორციელებია არანაირი სამართლებრივი ქმედება, თუმცა, მიუხედავად ამისა, „...“ ითხოვდა ჰონორარის გადახდას. ადვოკატებთან დაკავშირებაში დახმარების გაწევაზე ლ. წ. – ს უარს ეუბნებოდა იურიდიული ფირმის ხელმძღვანელიც.

1.4. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ნ. მ. – მ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. კერძოდ, მას არ გამოუწერია ორდერი, არ მიუღია მონაწილეობა არც ერთ საპროცესო მოქმედებაში, არ შეუდგენია საჩივარი ან შუამდგომლობა, არ დასწრებია საჩივრის ავტორის დაკითხვას, არ გაუსაჩივრებია კლიენტის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ გაფრთხილება და არ უწარმოებია საქმე სასამართლოში. აღნიშნული ქმედებების შედეგად, ლ. წ. დარჩა დაცვის უფლების გარეშე და დაკარგა დრო. რწმუნებულების გაფორმების მიუხედავად, იურიდიული ფირმის “...” ადვოკატი ნ. მ. არ იცავდა საჩივრის ავტორის ინტერესებს ჯერ ბებიის გარდაცვალების, შემდეგ კი შვებულებაში ყოფნის მიზეზით.

1.5. 2013 წლის 17 სექტემბერს წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მისთვის არ იყო ცნობილი იურიდიული ფირმის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი სარჩელის ასლის არსებობის შესახებ. ლ. წ. – ის განმარტებით, იგი არ იყო ინფორმირებული „...“ მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების შესახებ. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი წერილობითი ახსნა-განმარტებით „...“ ადასტურებს, რომ არ ჰქონდა საჩივრის ავტორთან უშუალო კონტაქტი გარკვეული მიზეზების გამო.

1.6. 2013 წლის 18 სექტემბრის ახსნა-განმარტებაში ლ. წ. აცხადებს, რომ დაირღვა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მუხლები. კერძოდ, ხელშეკრულების 3.1.4 მუხლის მიხედვით, შეთანხმებული იყო ჰონორარის ეტაპობრივად გადახდა, შესაბამისად, ადვოკატი ვალდებული იყო დაეცვა კლიენტის ინტერესები, ჰონორარის სრულად გადახდამდე. ნ. მ. – მ ეს ვალდებულება არ შეასრულა. ასევე, ეჭვქვეშ დადგა ხელშეკრულების 3.1.5 მუხლით გათვალისწინებული ნდობის პრინციპი, ვინაიდან „... – მ“ იურიდიულად გაუმართავი

განცხადებებით მიმართა პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, იურიდიულ ფირმაში არ პასუხობდნენ საჩივრის ავტორის ზარებს.

1.7. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნ. მ. – მ არ განახორციელა წარმომადგენლობა ბებიის გარდაცვალებისა და, შემდეგ შვებულებაში გასვლის მიზეზით. მეორე ადვოკატმა განაცხადა, რომ სისხლის სამართალში სათანადოდ ვერ ერკვეოდა და პოლიციაში წარმომადგენლად არ გამოადგებოდა ლ. წ. – ს. აღნიშნულის გამო, საჩივრის ავტორი დაცვის უფლების გარეშე დარჩა. შესაბამისად, ლ. წ. – ის ინტერესები არ განიხილებოდა, როგორც კლიენტის უპირატესი ინტერესი, რითაც დაირღვა ხელშეკრულების 3.1.6. მუხლი.

1.8. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მას არ აძლევდა კვალიფიციურ რჩევებს კანონმდებლობის არასათანადო ცოდნის მიზეზით და, ასევე, კლიენტს დროულად არ მიეწოდებოდა ინფორმაცია მის საქმესთან დაკავშირებით. იურიდიულმა ფირმამ არ გამოიყენა ყველა არსებული საშუალება ლ. წ. – ის ინტერესების დასაცავად. აღნიშნულის გამო, დაირღვა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების 3.1.7 და 3.1.12 და 3.1.13. მუხლები.

1.9. საჩივრის ავტორის განცხადებით, „... – მ“ არ შეასრულა საკუთარი მოვალეობები, შესაბამისად, ხელშეკრულების 4.4 მუხლის მიხედვით, „... – მ“ უნდა დაუბრუნოს მას ჰონორარის თანხა. ლ. წ. – მ ხელშეკრულების 5.4. მუხლის შესაბამისად, სიტყვიერად და წერილობით აცნობა იურიდიულ ფირმას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, ვინაიდან აღარ სურდა მისი იურიდიული მომსახურება. ასევე, საჩივრის ავტორის განმარტებით, მისთვის არ იყო ცნობილი რისკის შესახებ, კერძოდ, ის, რომ საქმის მისთვის არასასურველი შედეგით დასრულებაც შეიძლება მომხდარიყო.

1.10. მეორე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომა შედგა 2014 წლის 07 თებერვალს. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში მისი გაფორმების თარიღი არასწორად არის აღნიშნული, ვინაიდან იგი გაფორმდა 2013 წლის 04 ივლისს, ხოლო ხელშეკრულებაში გაფორმების თარიღად მითითებულ. 2012 წლის 21 აგვისტო. ასევე, საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, ხელშეკრულების 3.2.10. მუხლის მიხედვით, კლიენტს არ აქვს უფლება „... – სთან“ შეუთანხმებლად ხელშეკრულება გააფორმოს სხვა ადვოკატთან, რაც ზღუდავს კონსტიტუციით გარანტირებულ დაცვის უფლებას.

1.11. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ხელშეკრულების მიხედვით, ურთიერთობის შეწყვეტის უფლებამოსილება მხოლოდ იურიდიულ ფირმას მიენიჭა და, ასევე, არ მომხდარა ხელშეკრულების დასაბუთებულად შეწყვეტა. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატის მიერ მომზადებული დოკუმენტაცია არ იყო საკმარისი ლ. წ. – ის გამოსახლების შეჩერებისათვის, შესაბამისად, ადვოკატმა განახორციელა არაკვალიფიციური წარმომადგენლობა. ასევე, ადვოკატს არ ჰქონდა უფლება საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგეებისათვის გაეგზავნა გაფრთხილების წერილები.

1.12. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, საჩივრის ავტორის ინტერესების წარმომადგენლობისათვის აუცილებელი იყო როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატის მომსახურება. შესაბამისად, ნ. მ. – ის მიერ სამოქალაქო

სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატისათვის საქმის გადაცემა არღვევს კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ვალდებულებას.

1.13. საჩივრის ავტორის განმარტებით, წერილობით ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მიუხედავად, იგი ზეპირად შეუთანხმდა იურიდიული ფირმის „...“ დირექტორს თანხის გადახდის განსხვავებულ წესზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1. “... – მ“ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2013 წლის 30 აგვისტოს. ეთიკის კომისია აზუსტებს, რომ ახსნა-განმარტება იურიდიული ფირმის სატიტულო ფურცელზეა წარმოდგენილი და გადმოცემულ. მესამე პირში, თუმცა, ვინაიდან ახსნა-განმარტებას საკუთარი ხელმოწერით ადასტურებენ ადვოკატი ნ. მ. და მისი კოლეგა, კომისია ადვოკატების პოზიციად განიხილავს მას.

2.2. ადვოკატის განცხადებით, 2013 წლის 04 ივლისს ლ. წ. – მ კონსულტაციისათვის მიმართა იურიდიულ ფირმას - „...“. რის შედეგადაც გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება და გადახდილი იქნა იურიდიული მომსახურების შეთანხმებული საფასურის 2000 (ორი ათასი) ლარის ნაწილი - 460 (ოთხას სამოცი) ლარი. ხელშეკრულების თანახმად, დარჩენილი თანხა ლ. წ. – ს უნდა გადაეხადა 2013 წლის 11 ივლისს. ხელშეკრულებით განისაზღვრა იურიდიული მომსახურების სახე და ფარგლები - იურიდიულ ფირმას უნდა ეწარმოებინა ლ. წ. – ის საქმე სასამართლოში, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენებით 10 000 (ათი ათასი) დოლარის დაბრუნებასთან დაკავშირებით. 2013 წლის 05 ივლისს “...” ორ ადვოკატზე - თავად ნ. მ. – ზე და მის კოლეგაზე ლ. წ. – მ გასცა რწმუნებულებები სანოტარო წესით.

2.3. ადვოკატის განმარტებით, რწმუნებულების გაფორმების შემდეგ, საჩივრის ავტორის პროცესუალურ მოწინააღმდეგეებს გაეგზავნათ გაფრთხილების წერილები მოლაპარაკების თაობაზე და დაბარებული იქნენ იურიდიული ფირმის ოფისში. ასევე, კლიენტს ეცნობა, რომ 2013 წლის 11 ივლისს ჰონორარის დარჩენილ ნაწილთან ერთად მას ადვოკატთან უნდა წარმოედგინა სახელმწიფო ბაჟის თანხაც, რადგან სარჩელი მზად იქნებოდა. მიუხედავად გაფრთხილებისა, საჩივრის ავტორმა 2013 წლის 11 ივლისს გადაიხადა მხოლოდ 800 (რვაასი) ლარი, ხოლო მომსახურების დარჩენილი საფასური და ბაჟის თანხა კლიენტს ნ. მ. – სთან არ წარმოადგინა.

2.4. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის თხოვნის საფუძველზე, იურიდიული ფირმის ხელმძღვანელმა დაავალა მას და მის კოლეგას დახმარებოდნენ ლ. წ. – ს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაში მისი პროცესუალური მოწინააღმდეგეების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მომსახურება იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული. ადვოკატებმა გამოკითხეს ის პირები, რომლებიც ესწრებოდნენ მათ კლიენტსა და მის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას. კლიენტის პრეტენზია პროცესუალური მოწინააღმდეგისადმი სწორედ აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობას ეხება, რაც

სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი გახდა. მოწმეთა გამოკითხვის შედეგად ადვოკატებმა მიიჩნიეს, რომ არსებობდა გონივრულ ეჭვს მიღმა ვარაუდის საფუძველი მათი კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგისა და სხვა რამდენიმე პირის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ადვოკატებმა მოამზადეს და გენერალურ პროკურატურაში გაიგზავნა შესაბამისი განცხადება ლ. წ. – ის სახელით აღნიშნული ქმედების შესახებ.

2.5. ადვოკატის განცხადებით, იგი 2013 წლის 25 ივლისს საჩივრის ავტორთან ერთად იმყოფებოდა რუსთავის პოლიციის პირველ განყოფილებაში, ვინაიდან ლ. წ. – ის განცხადებით, მას სატელეფონო ზარებით ემუქრებოდნენ, რომ გამოასახლებდნენ 2013 წლის 25 ივლისს 18 საათზე. რუსთავის პოლიციის თანამშრომლება უარყვეს აღნიშნული ინფორმაცია. ადვოკატმა განყოფილებაში დატოვა განცხადება გამოსახლების პროცესის შეჩერების მოთხოვნის შესახებ. განცხადება შემდეგ გაიგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში.

2.6. ადვოკატის განმარტებით, მან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოითხოვა და ჩაიბარა საჩივრის ავტორის საქმისათვის საჭირო მასალების ნაწილი. 2013 წლის 26 ივლისს ადვოკატს გარდაეცვალა ბებია, რის გამოც იძულებული გახდა ქალაქი დაეტოვებინა. 2013 წლის 01 აგვისტოს ნ. მ. გავიდა შვებულებაში. ლ. წ. – ის ინტერესების დაცვა განაგრძო მისმა კოლეგამ - მეორე ადვოკატმა. იგი ყოველდღიურად ტელეფონით ეკონტაქტებოდა კლიენტს და სთხოვდა სახელმწიფო ბაჟის თანხის გადახდას. ლ. წ. – მ არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი.

2.7. ადვოკატის განცხადებით, ლ. წ. – ს რუსთავის პირველი განყოფილების გამომძიებელმა შეატყობინა, რომ დაბარებული იყო გამოკითხვაზე. ნ. მ. – ის კოლეგა ადვოკატი ყოველდღე იბარებდა კლიენტს გამოკითხვაზე წასასვლელად, თუმცა, იგი, სხვადასხვა მიზეზების მითითებით, თავს არიდებდა წასვლას. როგორც შემდეგ გაირკვა, ლ. წ. მარტო იმყოფებოდა გამოკითხვაზე. აღნიშნული ქმედების შემდეგ, იურიდიულმა ფირმამ მიიღო ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილება კლიენტის მიერ გამოჩენილი უნდობლობისა და თანხის გადაუხდელობის გამო. ლ. წ. – ის მიერ უკვე გადახდილი თანხა ჩაითვალა გაწეული მომსახურების ანგარიშში.

2.8. ადვოკატის განმარტებით, ლ. წ. – ის საქმე წარმოადგენდა სამოქალაქო დავას, შესაბამისად, არ არსებობდა ორდერის გამოწერის საჭიროება. ასევე, საჩივრის ავტორი არ უთითებს კონკრეტულ ფაქტებს, რაშიც გამოიხატება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა.

2.9. მეორე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომა შედგა 2014 წლის 07 თებერვალს. ადვოკატის განცხადებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ. გაფრთხილების ინსტიტუტი, შესაბამისად, არასწორია საჩივრის ავტორის მიერ გაფრთხილების წერილების გაგზავნის ფაქტის არაკვალიფიციურობის ჭრილში განხილვა.

2.10. ადვოკატის განცხადებით, ლ. წ. – სთან იურიდიული ფირმის მიერ დადებული ხელშეკრულება შედგენელ. ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ სტანდარტებით, შესაბამისად, ხელშეკრულებაში არსებულ შესაძლო ხარვეზზე პასუხისმგებლობა კომპანიას არ ეკისრება. ასევე, ადვოკატის განმარტებით, „... – სთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში საგნად მითითებულ. სასამართლო დავის წარმოება კონკრეტული პირის წინააღმდეგ, კერძოდ

უსაფუძვლო გამდიდრებასა და გამოსახლებასთან დაკავშირებით. ადვოკატის განმარტებით, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი და გამოსახლების საკითხი ეხება სამოქალაქო სამართალს, შესაბამისად, საქმის გადაცემა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატისათვის არ არღვევს პროფესიული ეთიკის პრინციპებს. ადვოკატის განცხადებით, მან კოლეგას საქმე სრულყოფილად გადააბარა.

2.11. ადვოკატის განმარტებით, ლ. წ. – ისათვის სასამართლო ხარჯების შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდა 2013 წლის 02 ივლისს. ასევე, ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი მეორე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომაზე, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების საწინააღმდეგოდ, თავად უთითებს, რომ იგი ინფორმირებული იყო სახელმწიფო ბაჟის თანხის ოდენობის შესახებ ნ. მ. – ის კოლეგის მიერ.

2.12. ადვოკატის განცხადებით, სარჩელის თარიღი შეიცვალა იმ მიზეზით, რომ ის მომზადდა მეორე ადვოკატის მიერ და, შესაბამისად, სარჩელის შედგენის თარიღად განისაზღვრა მისი მომზადების ახალი დრო. ასევე, ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორთან ურთიერთობა მიმდინარეობდა როგორც სატელეფონო კავშირის, ასევე, პირადი შეხვედრებისა და კონსულტაციების მეშვეობით. შესაბამისად, არასწორია მითითება ადვოკატ-კლიენტს შორის არსებულ კომუნიკაციის შესაძლო პრობლემაზე.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1. 2013 წლის 18 ნოემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. მ. – ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების 3.2.10. მუხლი არღვევს კლიენტის დაცვის უფლებას, ადვოკატ ნ. მ. – ის მხრიდან შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

3.3. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების მიხედვით წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები იყვნენ ადვოკატი ნ. მ. და მისი კოლეგა. ისინი ამ ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებდნენ ლ. წ. – ის ინტერესების დაცვას, შესაბამისად, პროფესიული კეთილსინდისიერების სტანდარტი მათ ავალდებულებდა დაინტერესებულიყვნენ, თუ როგორ რეგულირდებოდა ურთიერთობა მათსა და კლიენტს შორის. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ნებისმიერ პირს უნდა ჰქონდეს უფლება მიმართოს ნებისმიერ ადვოკატს მისი ინტერესების დაცვისათვის, კონსულტაციისათვის და ა.შ. ასევე, პირი არ არის შეზღუდული იმ საკითხშიც, თუ რამდენ ადვოკატს მიმართავს საკუთარი ინტერესების დასაცავად. საჩივრის ავტორსა და იურიდიულ ფირმას შორის გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების 3.2.10. მუხლის დანაწესი შეიძლება ჩაითვალოს ლ. წ. – ის დაცვის უფლების დარღვევად.

3.4. იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ნ. მ. – მ საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვა გადააბარა თავის კოლეგას, რომელიც სპეციალიზაციით სამოქალაქო სამართლის ადვოკატი იყო და ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ლ. წ. – ს, სავარაუდოდ,

ესაჭიროებოდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატის დახმარება, ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

3.5. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე კვალიფიკაციის არქონისას, არსებობს საფრთხე, რომ კლიენტი არ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი, რაც კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის პროფესიული ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის ახსნა-განმარტებით, სავარაუდოდ დასტურდებოდა, რომ ლ. წ. – ს ესაჭიროებოდა საერთო სპეციალიზაციის ადვოკატის დახმარება, როდესაც საერთო სპეციალიზაციის ადვოკატის, ნ. მ. – ის მითითებით, მისი კოლეგა, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი, მარტო ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას.

3.6. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი ნ. მ. საჩივრის ავტორს არ აწვდიდა ინფორმაციას განხორციელებული საპროცესო ქმედებების და საქმის მიმდინარეობის შესახებ, შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

3.7. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადვოკატს საქმის წარმოებისას კლიენტისათვის უნდა მიაწოდებინა ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ, შესაძლოა, ადვოკატ ნ. მ. – სა და ლ. წ. – ს შორის არსებობდა კომუნიკაციის პრობლემა. ასევე, სავარაუდოდ, საჩივრის ავტორს არ ჰქონდა ინფორმაცია სარჩელის მომზადების დროის შესახებ.

3.8. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ნ. მ. – მ შვებულებაში გასვლის გამო, კლიენტის ინტერესების დაცვა გადააბარა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატს მაშინ, როდესაც ლ. წ. – ს, სავარაუდოდ, ესაჭიროებოდა ადვოკატის დახმარება სისხლის სამართლის მიმართულებით, შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი.

3.9. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას პირად და სხვა პირთა ინტერესებთან შედარებით. ადვოკატი ნ. მ. გავიდა შვებულებაში 2013 წლის 01 აგვისტოს. (ს.ფ. 50), საქმის წარმოება განაგრძო ნ. მ. – ის კოლეგამ, (ს.ფ. 20) რომელიც სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატია. ამ დროს საჩივრის ავტორი - კლიენტი გამომძიებელმა დაიბარა რუსთავის პოლიციის პირველ განყოფილებაში გამოკითხვაზე. (ს.ფ. 20) ასევე, ლ. წ. – ის სახელით, პროკურატურაში გაგზავნილი იყო განცხადება საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგისა და სხვა რამდენიმე პირის შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით. (ს.ფ. 19) საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ,

სავარაუდოდ, ადვოკატმა პირადი - შვებულებაში გასვლის ინტერესი დააყენა კლიენტის ინტერესებზე მაღლა.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. ეთიკის კომისიის მიერ დადგენილ. შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1. ადვოკატი ნ. მ. წარმოადგენდა ლ. წ. – ის ინტერესებს მისი სახელშეკრულებო კონტრაჰენტის მიმართ წარმოებულ დავაში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. რწმუნებულება, ს.ფ. 13-15
2. „...“ გაგზავნილი წერილები, ს.ფ 26-28

4.1.2 საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას იურიდიული ფირმის „...“ სახელით ხელს აწერს კომპანიის მენეჯერი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების თაობაზე, ს.ფ. 11-12

4.2 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

4.2.1. საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის არსებობდა კომუნიკაციის პრობლემა.

განხილვის კოლეგიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ნ. მ. – ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ა) საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი რთულად ახერხებდა ნ. მ. – სთან დაკავშირებას. ადვოკატმა მას არ მიაწოდა ინფორმაცია სარჩელის შესაძლო არსებობის შესახებ. ასევე, პრობლემა არსებობდა როგორც სატელეფონო კავშირის, ისე ადვოკატთან პირადი შეხვედრის მცდელობის შემთხვევაშიც.

ბ) ადვოკატის განცხადებით, მას მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდა საჩივრის ავტორთან. ლ. წ. – სთან ურთიერთობა მიმდინარეობდა როგორც სატელეფონო კავშირის, ასევე, პირადი შეხვედრებისა

და კონსულტაციების მეშვეობით. რაც შეეხება სარჩელის შედგენის საკითხს, იგი მომზადებული იყო 2013 წლის 01 აგვისტომდეც, თუმცა, შემდეგ იგი დაამუშავა მისმა კოლეგამ და, შესაბამისად, სარჩელის შედგენის თარიღი განახლდა.

გ) განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა საქმეში წარმოდგენილი სატელეფონო ამონაწერებით და მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის არსებობდა კომუნიკაციის პრობლემა. კერძოდ, მათ შორის განხორციელებული გარკვეული რაოდენობის სატელეფონო ზარები გრძელდებოდა რამდენიმე წამის განმავლობაში, რაც საკმარისი არ იქნებოდა კონსულტაციისა და შესაბამისი კომუნიკაციისათვის. ასევე, მიუხედავად ადვოკატის მითითებისა, რომ სარჩელი მის მიერ მომზადდა 2013 წლის 11 ივლისს, საქმეში წარმოდგენილ. მხოლოდ 2013 წლის 01 აგვისტოთი დათარიღებული სარჩელი. განხილვის კოლეგია მნიშვნელოვნად მიიჩნევს აღნიშნოს, რომ 2014 წლის 07 თებერვალს, მეორე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომაზე, ნ. მ. – მ განაცხადა, რომ სასამართლოში, სარჩელზე თანდართული დოკუმენტების სახით, საჭირო იყო წარდგენილიყო საჯარო რეესტრიდან მიღებული დოკუმენტები, რომელიც თარიღდება 2013 წლის 26 ივლისითა და 01 აგვისტოთი. აღნიშნული ფაქტი ეჭვქვეშ აყენებს ადვოკატის მითითებას სარჩელის 2013 წლის 11 ივლისს არსებობის შესახებ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. სატელეფონო კომუნიკაციის ამონაწერი, ს.ფ. 79-109
2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სარჩელი, ს.ფ. 53-64
3. მეორე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომის ოქმი, 01:13:50-01:15:20 წთ.

4.2.2. ადვოკატმა ნ. მ. – მ მის კოლეგას სრულყოფილად არ გადააბარა ლ. წ. – ის საქმე.

განხილვის კოლეგიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ნ. მ. – ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ა) საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ. მ. – ის შვებულებაში გასვლის შემდეგ, მისმა კოლეგამ არ გაუწია კვალიფიციური და სრულყოფილი წარმომადგენლობა და მიზეზად განსაზღვრულ საკითხებში არაკვალიფიციურობა დაასახელა. ლ. წ. – ის განცხადებით, ნ. მ. – ის კოლეგას, ასევე, არ ჰქონდა სრული ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ.

ბ) ადვოკატის განცხადებით, იგი შეხვდა მის კოლეგას შვებულებაში გასვლის წინ და მიაწოდა სრული ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ. ასევე, ვინაიდან ლ. წ. – ის საქმეში არ იყო საჭირო სისხლის სამართლის მიმართულებით წარმომადგენლობის განხორციელება, საქმის

სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატისათვის გადაცემა ლ. წ. – ის ინტერესების განხორციელებას პრობლემას არ უქმნიდა.

გ) განხილვის კოლეგია მოცემულ შემთხვევაში ითვალისწინებს ნ. მ. – ის კოლეგის მიერ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2013 წლის 01 ნოემბერს, დისციპლინურ საქმეზე №105/13, მიცემულ ახსნა-განმარტებას, სადაც ადვოკატი აცხადებს, რომ იგი არ ფლობდა ზუსტ ინფორმაციას დავის საგნის შესახებ. ასევე, ლ. წ. – ის თხოვნის მიუხედავად, იგი ვერ დაუკავშირდა გამომძიებელს და არ იყო ინფორმირებული გამოსახლების თარიღის შესახებ. აღნიშნული ფაქტები დაფიქსირდა „... – სთან“ ურთიერთობის შეწყვეტამდე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ეთიკის კომისიის 2013 წლის 01 ნოემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომის ოქმის ჩანაწერი, დისციპლინური საქმე №105/13

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. მ. – ის მიერ ჩადენილ. დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. მ. – ის მიერ დარღვეულ. შემდეგი ნორმები:

6.1.1. ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ე” ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით „ადვოკატი ვალდებულ. შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები.”

6.1.2. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის მიხედვით, ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა.”

6.1.3. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულ. დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულ. მისი საქმის წარმოებასთან.“

6.1.4. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

6.2. კლიენტის მიერ ადვოკატისთვის წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას მისი სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული იმ საპროცესო მოქმედებებისა, რომელიც უშუალოდ მარწმუნებელმა უნდა განახორციელოს.

6.3. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №066/10 კვალიფიციურ მომსახურებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულ. გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.“ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №074/10 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ,,ადვოკატმა სარჩელის შეტანიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.“

6.4. განხილვის კოლეგია უთითებს, რომ ნ. მ. – ის კოლეგისათვის საქმის გარკვეული ფაქტობრივი გარემოებები მისი გადაცემის შემდეგ არ იყო ცნობილი. კერძოდ, იგი არ ფლობდა ზუსტ ინფორმაცია დავის საგნის შესახებ. ასევე, ლ. წ. – ის თხოვნის მიუხედავად, იგი ვერ დაუკავშირდა გამომძიებელს და არ იყო ინფორმირებული გამოსახლების თარიღის შესახებ. აღნიშნული ფაქტები დაფიქსირდა „... – სთან“ ურთიერთობის შეწყვეტამდე.

6.5. განხილვის კოლეგია კლიენტისათვის საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი

ვალდებულ. კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები.

6.6. ეთიკის კომისიამ 2010 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №022/10 დაადგინა, რომ ,,ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და კავშირი ჰქონდეს მასთან საქმის წარმოების პროცესში, როდესაც ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით ხორციელდება საპროცესო მოქმედებები და საქმესთან დაკავშირებით არსებობს ახალი გარემოებები". ეთიკის კომისიამ კლიენტის დროული ინფორმირება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას დაუკავშირა 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №092/11 განმარტა, რომ ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულ. საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები."

6.7. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი არ მიაწვდის და სათანადოდ არ განუმარტავს კლიენტს კანონით მინიჭებულ საპროცესო უფლებებს, აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს კლიენტისათვის საზიანო სამართლებრივი შედეგის დადგომა. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი სატელეფონო ჩანაწერებში ფიქსირდება გარკვეული რაოდენობის სატელეფონო ზარები, რომელთა ხანგრძლივობა შეადგენს რამდენიმე წამს. შესაბამისად, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის არსებობდა კომუნიკაციის პრობლემა. ასევე, ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობაში გაუგებრად რჩება სარჩელის შედგენის თარიღი. ნ. მ. – ის განცხადებით, სარჩელი შედგენილი იყო 2013 წლის 11 ივლისს, თუმცა, ეთიკის კომისიაში ადვოკატის მიერ წარმოდგენილი სარჩელი თარიღდება 2013 წლის 01 აგვისტოთი. ასევე, 2014 წლის 07 თებერვალს, მეორე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომაზე, ნ. მ. – მ განაცხადა, რომ სასამართლოში, სარჩელზე თანდართული დოკუმენტების სახით, საჭირო იყო წარდგენილიყო საჯარო რეესტრიდან მიღებული დოკუმენტები, რომელიც თარიღდება 2013 წლის 26 ივლისისა და 01 აგვისტოს თარიღებით. აღნიშნული ფაქტი ეჭვქვეშ აყენებს და ბუნდოვანს ხდის ადვოკატის მითითებას სარჩელის 2013 წლის 11 ივლისს არსებობის შესახებ.

6.8. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მხარეს ადვოკატი ნ. მ. არ წარმოადგენს. აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელს აწერს იურიდიული ფირმის „..." მენეჯერი. ნ. მ. საჩივრის ავტორის წარმომადგენლობას ახორციელებდა სანოტარო წესით დამოწმებული რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილებით. შესაბამისად, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულებაში დაფიქსირებული გარკვეული პირობის მიზეზით ადვოკატს არ უნდა დისციპლინური სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება.

6.9. განხილვის კოლეგიამ ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებობდა კომუნიკაციის პრობლემა და, ასევე, ნ. მ. – ის მიერ კოლეგისათვის საქმის გადაცემის შემდეგ საჩივრის ავტორის ინტერესების განხორციელებას გარკვეული პრობლემები შეექმნა. განხილვის კოლეგია ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ნ. მ. შვებულებაში გასვლამდე ახორციელებდა გარკვეულ საქმიანობას ლ. წ. – ის ინტერესების დაცვისათვის. ასევე, საჩივრის ავტორის წარმომადგენლობისათვის საჭირო იყო სამოქალაქოსამართლებრივი ქმედებების განხორციელება, რისი განხორციელების კანონით მინიჭებული უფლებით სარგებლობდა ნ. მ. – ის კოლეგა.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა" ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე–5 და მე-6 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, 35-ე მუხლით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ნ. მ. – ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. ადვოკატ ნ. მ. – ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (ქ. თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /პავლე აბაიაძე/

კომისიის წევრი: /თეა ჭეიშვილი/

კომისიის წევრი: /მარინე კვაჭაძე/